ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს **2023 წლის 20 ივლისის** სხდომის

ოქმი # 6

სხდომას ესწრებოდა: სიითი შემადგენლობის 35 წევრიდან - 30

დღის წესრიგი

1. ფაკულტეტის საბჭოს ახალი წევრების დამტკიცება
2. საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების აკადემიური პერსონალის განცხადების განხილვა
3. ორკვირიან შუალედურ საგამოცდო პერიოდზე გადასვლის საკითხი
4. საფაკულტეტო სასწავლო კურსების კრედიტების შემცირება
5. სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის საბაკალავრო პროგრამებისთვის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე საერთო მიღების გამოცხადება
6. ცვლილებები საბაკალავრო, სამაგისტრო და დოქტორანტურის პროგრამებში
7. 'ა' კატეგორიის შტატის პერსონალისთვის დამატებითი საათების ანაზღაურების საკითხი
8. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესში ცვლილება
9. პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტ თორნიკე ზურაბაშვილის სადისერტაციო კომისიისა და რეცენზენტების დამტკიცება
10. სადოქტორო თემის სათაურების დამტკიცება

მოისმინეს: 1. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ 7 ივნისს გაიმართა სტუდენტური თვითმმართველობის მე-8 მოწვევის არჩევნები. გამოვლინდნენ ფაკულტეტის საბჭოს წევრი სტუდენტები, რომლებიც არჩეულნი არიან საფაკულტეტო საბჭოში 2 წლის ვადით: I კურსი - იაკობ ორმოცაძე, ლუკა ტაბიძე, ნინო კარანაია; II კურსი -დიტო ბელქანია, ალექსანდრე ფასიეშვილი, მარიამ ჯეჯეია; III კურსი - თამარ ბიბიჩაძე, კახა კუჭუხიძე; IV კურსი- ალექსანდრე გაბაშვილი. **ასევე,** ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ საბჭოში შემოსულია საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების ხელმძღვანელის განცხადება და აღნიშნული მიმართულების სხდომის 5 ივნისის ოქმი. საზოგადოებრივი გეორგაფიის მიმართულებაზე ჩატარებულ სხდომაზე საბჭოს წევრად ასოცირებული პროფესორის, ვალერიან მელიქიძის ნაცვლად არჩეულ იქნა პროფესორი რევაზ გაჩეჩილაძე.

აზრი გამოთქვეს: ზ. აბაშიძემ, მ. შამილიშვილმა.

დაადგინეს: ფაკულტეტის საბჭოს წევრებად დამტკიცებულ იქნენ სტუდენტები: იაკობ ორმოცაძე, ლუკა ტაბიძე, ნინო კარანაია, დიტო ბელქანია, ალექსანდრე ფასიეშვილი, მარიამ ჯეჯეია, თამარ ბიბიჩაძე, კახა კუჭუხიძე; ალექსანდრე გაბაშვილი; საზოგადოებრივი

გეოგრაფიის მიმართულებიდან საბჭოს წევრად ნაცვლად ასოცირებული პროფესორის, ვალერი მელიქიძისა, დამტკიცებულ იქნეს პროფესორი რევაზ გაჩეჩილაძე.

მოისმინეს: 2. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მიმდინარე წელს ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრას, რომლის სამართალმემკვიდრეა საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება, უსრულდება დაარსებიდან 100 წელი. ამასთან დაკავშირებით, მიმართულების აკადემიური და დამხმარე პერსონალის ინიციატივითა და ფალულტეტისა და უნივერსიტეტის მხარდაჭერით, დაგეგმილია არაერთი ღონისძიება. აღნიშნულთან დაკავშირებით საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულებაზე 6 ივნისს ჩატარდა მიმართულების სხდომა. ფაკულტეტის საბჭოს სახელზე შემოსულია საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების წევრთა თხოვნა, რომ ფაკულტეტის საბჭომ თსუ რექტორს ფაკულტეტისა და უნივერისტეტის წინაშე გამოჩენილი პედაგოგიური, აკადემიური და ადმინისტრაციული დამსახურებების გამო სხვადასხვა პერიოდში მიმართულების/კათედრის ხელმძღვანელები პროფესორები: რევაზ გაჩეჩილაძე, იოსებ სალუქვაძე, გიორგი გოგსაძე და თამარ დოლბაია წარუდგინოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალზე დასაჯილდოებლად

აზრი გამოთქვეს: რ. ჯორბენაძემ, მ. წერეთელმა, ზ. დავითაშვილმა

დაადგინეს: პროფესორები რევაზ გაჩეჩილაძე, იოსებ სალუქვაძე, გიორგი გოგსაძე და თამარ დოლბაია წარდგენილ იქნენ თსუ რექტორის წინაშე ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით დასაჯილდოებლად.

მოისმინეს: 3. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია ფაკულტეტის სხვადასხვა მიმართულების სტუდენტებს შორის ხარისხის სამსახურის მიერ ჩატარებული გამოკითხვების შესახებ. დეკანის ინიციატივით, ხარისხის სამსახურმა მიმდინარე სემესტრში ჩაატარა ფაკულტეტის სხვადასხვა მიმართულების სტუდენტების გამოკითხვა ფოკუს ჯგუფების მეშვეობით. ფოკუს ჯგუფებში გამოიკვეთა რამდენიმე საკითხი, რომლის გათვალისწინებასაც სტუდენტთა დიდი ნაწილი ითხოვს. ერთ-ერთი ასეთი საკითხია შუალედურ საგამოცდო პერიოდად ერთი კვირის ნაცვლად, ორი კვირიანი ვადის განსაზღვრა. ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ მთავარი არგუმენტი მოცემული საკითხის დაყენებისა სტუდენტების მხრიდან არის ერთკვირიანი ყოველდღიური გადატვირთული საგამოცდო პერიოდის პირობებში ცოდნისა და ძალების მობილიზების სირთულე.

აზრი გამოთქვეს: ზ. დავითაშვილმა, ნ. დურგლიშვილმა, თ. დოლბაიამ, ნ. ბელქანიამ, რ. ჯორბენაძემ, ალ. გაბაშვილმა, ალ. ფასიეშვილმა და სხვ.

დაადგინეს: ფაკულტეტზე შუალედურ საგამოცდო პერიოდად ერთი კვირის ნაცვლად ორკვირიანი ვადის განსაზღვრის საკითხის განხილვა აზრთა სხვადასხვაობის გამო გადაიდოს.

მოისმინეს: 4. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს მოახსენა ფოკუს ჯგუფებში გამოკვეთილი კიდევ ერთი საკითხის შესახებ, რომლის გათვალისწინებასაც ასევე სტუდენტთა დიდი ნაწილი ითხოვს. ეს საკითხია საფაკულტეტო სავალდებულო კურსების ჩამონათვალიდან სტატისტიკის ამოღება და მისი საფაკულტეტო არჩევით საგანთა რიგში გადატანა. სტუდენტების აზრით, იმ დისციპლინათა სტუდენტების უმრავლესობისთვის, რაც ფაკულტეტზე ისწავლება, მოცემული საგანი პროფესიული განვითარების კუთხით ნაკლებად

შედეგიანია. ასევე, სტუდენტთა ნაწილი მიიჩნევს რომ მოცემულ საგანში არსებული მასალის ათვისება მათთვის საკმაოდ რთულია.

აზრი გამოთქვეს: ნ.დურგლიშვილმა, მ. შამილიშვილმა, ი. კაჭკაჭიშვილმა, რ. ჯორბენაძემ, ზ. დავითაშვილმა, ხ. მაისაშვილმა და სხვ.

დაადგინეს: საგან „სტატისტიკას" შეეცვალოს სტატუსი და სავალდებულო საფაკულტეტო საგნების ჩამონათვალიდან გადატანილ იქნეს საფაკულტეტო სავალდებულო არჩევით საგნად (გარდა სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის პროგრამებისა).

მოისმინეს: 5. ფაკულტეტის ხარისხის სამსახური უფროსმა, ბატონმა რევაზ ჯორბენაძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ფაკულტეტის ადმინისტრაციაში შემოვიდა სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების ხელმძღვანელის წერილი და მიმართულების სხდომის ოქმი. სხდომა ჩატარდა 2023 წლის 19 ივნისს, რომელზედაც განიხილეს სოციალური მუშაობის პროგრამაზე მისაღები კონტიგენტის თანდათანობითი კლების საკითხი და მოცემული ფრობლემის გადაჭრის გზები. მიმართულებამ ფაკულტეტის ადმინისტრაციას სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის საბაკალავრო პროგრამებზე 2024-2025 სასწავლო წლისთვის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე საერთო მიღების გამოცხადების თხოვნით მომართა (მისაღები კონტიგენტის რაოდენობა განისაზღვროს 140 სტუდენტით). ფაკულტეტის დეკანმა, ხარისხის სამსახურმა, თსუ ცენტრალურმა ხარისხმა მოცემული საკითხი გაიარეს სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების ხელმძღვანელებთან ერთად და განსაზღვრეს, რომ მოცემული ცვლილების განხორციელება შესაბამისობაში მოდის ხარისხის სამსახურის მოთხოვნებთან და მისი განხორციელება შესაძლებელია.

აზრი გამოთქვეს: ნ. ფარცხალაძემ, ს.დუნდუამ, ი. კაჭკაჭიშვილმა და სხვ.

დაადგინეს: 2024 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების საბაკალავრო პროგრამებისთვის განხორციელდეს ერთიანი მიღება (140 სტუდენტი)

მოისმინეს: 6. ფაკულტეტის ხარისხის სამსახური უფროსმა, ბატონმა რევაზ ჯორბენაძემ საბჭოს წევრებს წარუდგინა საბაკალავრო, სამაგისტრო და დოქტორანგურის პროგრამებში შესატანი ცვლილებები (თან ერთვის ოქმს)

აზრი გამოთქვეს: ს. დუნდუამ, მ. წერეთელმა

დაადგინეს: დამტკიცებულ იქნეს საბაკალავრო, სამაგისტრო და დოქტორანტურის პროგრამებში შესატანი ცვლილებები

მოისმინეს: 7. ფაკულტეტის დეკანმა ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს გააცნო ინიციატივა მინიმალური სახელფასო საათობრივი დატვირთვის შესრულების შემდეგ, დამატებითი საათების ანაზღაურების შესახებ. კერძოდ, ს. დუნდუა საბჭოს წევრების წინაშე შევიდა განცხადებით იმის თაობაზე, რომ „ა" კატეგორიის აკადემიურ პერსონალს ფაკულტეტზე სავალდებულო საათობრივი დატვირთვის შესრულების შემდეგ აუნაზღაურდეს 1-დან 4 საათამდე.

აზრი გამოთქვეს: ალ. კუხიანიძემ, კ. შუბითიძემ, ნ. დურგლიშვილმა

დაადგინეს:: 'ა' კატეგორიის შტატის პერსონალს ფაკულტეტზე სავალდებულო საათობრივი დატვირთვის შესრულების შემდეგ აუნაზღაურდეს 1-დან 4 საათამდე.

მოისმინეს: 8. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში ანგარიშის წარდგენის თაობაზე. სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე წლებია ხორციელდება ჯგუფურად (მაქსიმუმ ორი სტუდენტი) სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პრაქტიკა. ცენტრის მიერ მოთხოვნილ იქნა სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესისა და სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსის ურთიერთთანხვედრაში მოყვანა. ს, დუნდუამ საბჭოს წევრებს შესთავაზა სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესის შემდეგი სახით დაკორექტირება:

მუხლი პირველი: სამაგისტრო ნაშრომის მიზანი

„სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად (სოციოლოგიის პროგრამის შემთხვევაში არა უმეტეს 2 თანაავტორის მიერ) შესრულებულ სამუშაოს. თანაავტორობისას ანოტაციაში გამოკვეთილი და მითითებული უნდა იყოს თითოეული მონაწილის წვლილი"

გაფორმების წესი:

„ნაშრომის მოცულობა – არანაკლებ 40 გვერდისა (ჯგუფური სამაგისტრო ნაშრომის შემთხვევაში არანაკლებ 70 გვერდისა). გვერდების რაოდენობაში იგულისხმება ტექსტი შესავლიდან დასკვნის ჩათვლით, გამოყენებული ლიტერატურის, გრაფიკების, ცხრილებისა და სხვა ვიზუალური მასალის გარეშე".

აზრი გამოთქვეს: რ. ჯორბენაძემ, ი.კაჭკაჭიშვილმა, ზ, დავითაშვილმა

დაადგინეს: სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის ოქმში „სამაგისტრო ნაშრომის მიზანი" და „გაფორმების წესი" ფორმულირებულ იქნეს შემდეგი სახით:

მუხლი პირველი: სამაგისტრო ნაშრომის მიზანი

„სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად (სოციოლოგიის პროგრამის შემთხვევაში არა უმეტეს 2 თანაავტორის მიერ) შესრულებულ სამუშაოს. თანაავტორობისას ანოტაციაში გამოკვეთილი და მითითებული უნდა იყოს თითოეული მონაწილის წვლილი"

გაფორმების წესი:

„ნაშრომის მოცულობა – არანაკლებ 40 გვერდისა (ჯგუფური სამაგისტრო ნაშრომის შემთხვევაში არანაკლებ 70 გვერდისა). გვერდების რაოდენობაში იგულისხმება ტექსტი შესავლიდან დასკვნის ჩათვლით, გამოყენებული ლიტერატურის, გრაფიკების, ცხრილებისა და სხვა ვიზუალური მასალის გარეშე".

მოისმინეს: 9. ფაკულტეტის დეკანმა ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს მოახსენა ინფორმაცია, რომ პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტმა თორნიკე ზურაბაშვილმა, რომლის სადისერტაციო თეზისია „იდენტობის საკითხი ქართულ საგარეო პოლიტიკურ დისკურსში (1990-2021 წწ.); (სამეცნიერო ხელმძღვანელი - პროფესორი კორნელი კაკაჩია) შეასრულა სადოქტორო დებულებით გათვალისწინებული ყველა სასწავლო და კვლევითი კომპონენტი და სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურში წარადგინა სადისერტაციო ნაშრომი. შესაბამისად, საჭიროა სადისერტაციო კომისიისა და რეცენზენტების დამტკიცება.

სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები:

1. ზვიად აბაშიძე - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების ასოცირებული პროფესორი;

   პუბლიკაცია: Abashidze, Z. (2021). A Political Discourse on Nation and Nation-Buildng in a Post-Communist State: The Case of Georgia Under Zviad Gamsakhurdia. *European Journal of Transformation Studies*, *9*(2), 40-51.
2. გია ნოდია - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

   პუბლიკაცია:Nodia, G. (2016). The story of Georgia's state-building: Dramatic but closer to completion. *Twenty-Five Years of Independent Georgia. Tbilisi, Georgia: Ilia State University and Konrad Adenauer Stiftung*, 56-90.
3. ანდერს ვიველი - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, კოპენჰაგენის უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერებათა მიმართულების პროფესორი;

   პუბლიკაცია: Wivel, A. (2016). Living on the edge: Georgian foreign policy between the West and the rest. *Third World Thematics: A TWQ Journal*, *1*(1), 92-109.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია

1. სალომე დუნდუა - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების ასოცირებული პროფესორი;

   პუბლიკაცია: Dundua, S., Karaia, T., & Abashidze, Z. (2017). National narration and Politics of Memory in post-socialist Georgia. *Slovak Journal of Political Sciences*, *17*(2).
2. ალექსანდრე კუხიანიძე - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების პროფესორი;

   პუბლიკაცია: Kukhianidze, A. (2022). The Armenian and Azeri Communities in Georgia: On Georgia's Nationalities and Foreign Policies. In *Commonwealth and Independence in Post-Soviet Eurasia* (pp. 111-124). Routledge.
3. თამარ ქარაია - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების ასოცირებული პროფესორი;

   პუბლიკაცია: Karaia, T. (2017). Memory Strategies in Contemporary Georgia. *Środkowoeuropejskie Studia Polityczne*, (4), 5-22.
4. ზურაბ დავითაშვილი - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების პროფესორი;

   პუბლიკაცია: Davitashvili, Z. (2022). Nationalism as an Obstacle to Conflict Resolution and Peace Building Processes in Georgia. *INTERNATIONAL SCIENTIFIC JOURNAL" THE CAUCASUS AND THE WORLD"*, (26).
5. დავით მაცაბერიძე - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ასოცირებული პროფესორი;

   პუბლიკაცია: Matsaberidze, D. (2014). *The role of civic nationalism in transformation of the internal ethnic politics of post-Soviet Georgia*. European Centre for Minority Issues (ECMI).
6. ივანნა მაჩიტიძე - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ასოცირებული პროფესორი;

   პუბლიკაცია: Machitidze, I. (2022). Lost in Pragmatism (s) in the South Caucasus? Why Georgia Should Invest in Value-based Foreign Policy.

7. ბაკურ კვაშილავა - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სამართლისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი, პროფესორი;

პუბლიკაცია: Barkaia, Z., & Kvashilava, B. (2020). Development of programs of Georgian political parties (2008-2016). *The Political Landscape of Georgia*, 171.

აზრი გამოთქვეს: ალ. კუხიანიძემ, მ. მაცაბერიძემ

დაადგინეს:: პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტ თორნიკე ზურაბაშვილის სადისერტაციო ნაშრომის „იდენტობის საკითხი ქართულ საგარეო პოლიტიკურ დისკურსში (1990-2021 წწ.); (სამეცნიერო ხელმძღვანელი - პროფესორი კორნელი კაკაჩია) რეცენზენტებად განისაზღვონ:

1. ზვიად აბაშიძე - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების ასოცირებული პროფესორი;
2. გია ნოდია - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
3. ანდერს ვიველი - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, კოპენჰაგენის უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერებათა მიმართულების პროფესორი;

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

1. სალომე დუნდუა - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
2. ალექსანდრე კუხიანიძე - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების პროფესორი;
3. თამარ ქარაია - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
4. ზურაბ დავითაშვილი - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების პროფესორი;
5. დავით მაცაბერიძე - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ასოცირებული პროფესორი;
6. ივანნა მაჩიტიძე - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
7. ბაკურ კვაშილავა - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სამართლისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი, პროფესორი;

მოისმინეს: 10. ფაკულტეტის დეკანმა ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ დასამტკიცებელია რამდენიმე დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის სათაურები და ხელმძღვანელები.

ა. სადისერტაციო ნაშრომის შეცვლა

სალომე ბელქანია, მასობრივი კომუნიკაციის IV სემესტრის სტუდენტი, ძველი თემა: „საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენათა მედიააღქმები და ასახვის ეფექტები თანამედროვე ქართულ მასმედიაში", შეიცვალოს და დამტკიცდეს ახალი სადისერტაციო თემა „სოციალური პროტესტების რეპრეზენტაცია ქართულ სატელევიზიო მედიაში - მედიააღქმები და მედიაეფექტები" , ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მარი წერეთელი

ბ. სადისერტაციო ნაშრომის სათაურის დამტკიცება

ზურაბ ხვიჩია, კონფლიქტების ანალიზი და მართვა II სემესტრის სტუდენტი: 'მოსახლეობის უსაფრთხოება სამხედრო კონფლიქტში (კოსოვო, ერაყი, ავღანეთი შემთხვევების განხილვა)', ხელმძღვანელები: პროფესორი გუგული მაღრაძე, მოწვეული ლექტორი ვახტანგ მაისაია

გ. სამეცნიერო ხელმძღვანელის ცვლილება

ჯონი კვინიკაძე, პოლიტიკის მეცნიერება, VI სემესტრის სტუდენტი, სადისერტაციო ნაშრომის „არასამთავრობო სექტორის ეფექტურობა - სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფორმისა და ფუნქციის ზეგავლენა ჩართულობის ხარისხზე." სამეცნიერო ხელმძღვანელად ასოცირებული პროფესორი ზვიად აბაშიძის ნაცვლად დაენიშნოს ასოცირებული პროფესორი თამარ ქარაია

აზრი გამოთქვეს: ზ, დავითაშვილმა, რ. ჯორბენაძემ.

დაადგინეს:დამტკიცდეს სადოქტორო ნაშრომების სათაურები და ხელმძღვანელები:

სალომე ბელქანია, მასობრივი კომუნიკაციის IV სემესტრის სტუდენტი - „სოციალური პროტესტების რეპრეზენტაცია ქართულ სატელევიზიო მედიაში - მედიააღქმები და მედიაეფექტები" , ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მარი წერეთელი

ზურაბ ხვიჩია, კონფლიქტების ანალიზი და მართვა II სემესტრის სტუდენტი - 'მოსახლეობის უსაფრთხოება სამხედრო კონფლიქტში (კოსოვო, ერაყი, ავღანეთი შემთხვევების განხილვა)', ხელმძღვანელები: პროფესორი გუგული მაღრაძე, მოწვეული ლექტორი ვახტანგ მაისაია

ჯონი კვინიკაძე, პოლიტიკის მეცნიერება, VI სემესტრის სტუდენტი - სამეცნიერო ხელმძღვანელად დაენიშნოს ასოცირებული პროფესორი თამარ ქარაია.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე სალომე დუნდუა

ფაკულტეტის სააბჭოს მდივანი ნათია ფარცხალაძე

10 ივლისი 2023

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო

ფაკულტეტის დეკანი

სალომე დუნდუა

პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება

მალხაზ მაცაბერიძე

ალექსანდრე კუხიანიძე

ზვიად აბაშიძე

თამარ ქარაია

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება

თამარ დოლბაია

გიორგი გოგსაძე

რევაზ გაჩეჩილაძე

ვაჟა ლორთქიფანიძე

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

ზურაბ დავითაშვილი

ფიქრია ასანიშვილი

კონსტანტინე შუბითიძე

დავით მაცაბერიძე

სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულება

იაგო კაჭკაჭიშვილი

ამირან ბერძენიშვილი

ნინო დურგლიშვილი

ნათელა ფარცხალაძე

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება

მარი წერეთელი

მანანა შამილიშვილი

ნანული ტალახაძე

ხათუნა მაისაშვილი

ნინო ჭალაგანიძე

ინტერდისციპლინური კვლევების მიმართულება

რევაზ ჯორბენაძე

ნოდარ ბელქანია

ზურაბ აბაშიძე

თეონა მატარაძე

სტუდენტური თვითმმართველობა

იაკობ ორმოცაძე

ლუკა ტაბიძე

ნინა კარანაია

დიტო ბელქანია

ალექსანდრე ფასეიშვილი

მარიამ ჯეჯია

თამარ ბიბიჩაძე

კახა კუჭუხიძე

ლექსანდრე გაბაშვილი

N 19491/10 14.07.2023

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს
ბატონ ლაშა საღინაძეს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგესალმებით ქალბატონო სალომე, როგორც მოგეხსენებათ 7 ივნისს გაიმართა სტუდენტური თვითმმართველობის მე-8 მოწვევის არჩევნები. აღნიშნული არჩევნებიდან გამოვლინდნენ ფაკულტეტის საბჭოს წევრი სტუდენტები, რომლებიც არჩეულნი არიან 2 წლის ვადით საფაკულტეტო საბჭოში. გთხოვთ დაამტკიცოთ აღნიშნული სტუდენტები საბჭოს წევრებად.

არჩევნებში გამარჯვებული სტუდენტა სია, რომლებიც საბჭოს წევრები გახდნენ.

I კურსი - იაკობ ორმოცაძე, ლუკა ტაბიძე, ნინა კარანაია
II კურსი - ბელქანია დიტო, ფასიეშვილი ალექსანდრე, ჯეჯეია მარიამი
III კურსი - თამარ ბიბიჩაძე, კახა კუჭუხიძე
IV კურსი- ალექსანდრე გაბაშვილი

პატივისცემით ,

ალექსანდრე გაბაშვილი
ა.გაბაშვილი

პრეზიდენტი-მ.შ.
თსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობა

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და
პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს,

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარეს,

სალომე დუნდუას

ამავე ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების ხელმძღვანელის,

თამარ დოლბაიას

მიმართვა

ქალბატონო სალომე,

ამა წლის 6 ივლისს ჩატარდა საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების სხდომა, სადაც განხილულ იქნა ფაკულტეტის საბჭოში წევრის ჩანაცვლების საკითხი.

კენჭისყრა ჩატარდა პროცედურების დაცვით და საბჭოს წევრად არჩეულ იქნა პროფესორი რევაზ გაჩეჩილაძე, რომელიც ჩაანაცვლებს ასოცირებულ პროფესორ ვალერიან მელიქიძეს.

გთხოვთ ეს ცვლილება გაიტანოთ ფაკულტეტის საბჭოზე.

პატივისცემით,

თ. დოლბაია,

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების ხელმძღვანელი

10 18875/30 1
07 023

ამონაწერი

ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების

2023 წლის 6 ივლისის სხდომის

ოქმი #4 -და

სხდომას ესწრებოდა: მიმართულების 11 აკადემიური პერსონალიდან – 7 და დამსწრე პერსონალიდან - 2 სპეციალისტი.

დღის წესრიგი:

1. არჩევნების ჩატარება საფაკულტეტო საბჭოში წევრის ჩანაცვლების გამო.

მოისმინეს: 3. მიმართულების სხდომაზე გამოითქვა აზრი ფაკულტეტის საბჭოს წევრის ჩანაცვლების შესახებ, ვინაიდან ვ. მელიქიძე ვერ ესწრება საბჭოსა და მიმართულების სხდომებს.

დასახელდა პროფესორ რევაზ გაჩეჩილაძის კანდიდატურა.

შეიქმნა საარჩევნო კომისია. კენჭისყრა ჩატარდა ფარულად, რაც უზრუნველყოფილ იქნა საარჩევნო ყუთითა და ნების გამოვლენის ფარულობის დაცვის მიზნით გამოყოფილი ადგილით. ბიულეტენები შეიქმნა და გაცემული იქნა წესის დაცვით, არჩევანი მკაფიოდ იქნა გამოხატული.

კენჭისყრის შედეგები: რევაზ გაჩეჩილაძე: მომხრე - 7, წინააღმდეგი - 0.

დაადგინეს:

1. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს წევრად საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულებიდან, ფარული კენჭისყრით, არჩეულ იქნა პროფესორი რევაზ გაჩეჩილაძე
2. ინფორმაცია გაეგზავნოს ფაკულტეტის საბჭოს.

სხდომის თავმჯდომარე: თ. დოლბაია, პროფესორი

სხდომის მდივანი: ლ. აბაზაძე, მთავარი სპეციალისტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW -
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF SOCIAL AND POLITICAL SCIENCES

N 16590/30
20.06.2023

16590-30-3-202306201033

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს

სალომე დუნდუას

ამავე ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების წევრთა

მიმართვა

ქალბატონო სალომე,

ამა წლის 6 ივნისს შედგა საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების სხდომა.

სხდომაზე განხილულ იქნა მთელი რიგი საკითხები და დაიგეგმა მიმართულების 100 წლის საიუბილეო თარიღის აღსანიშნავი აქტივობები.

ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრა, რომლის სამართალმემკვიდრეა საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება, 1923 წელს დაარსდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამ წლების განმავლობაში, კათედრაზე/მიმართულებაზე აღიზარდა გეოგრაფთა პლეადა, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს თსუ-სა და ქვეყნის სოციალურ - ეკონომიკური განვითარების პროცესში, რაც იმ პროფესურის დამსახურებაა, რომელიც უანგაროდ და თავდადებით ემსახურა საქართველოში გეოგრაფიული კადრების აღზრდა - სწავლების საქმეს. მათ შორისაა არაერთი ცნობილი, სახელოვანი და ღვაწლმოსილი პროფესორი.

ჩვენი მიმართულების წარმომადგენლებმა მიიღეს გადაწყვეტილება, მოგმართოთ თხოვნით, რათა ფაკულტეტის საბჭომ, ივანე ჯავახიშვილის მედალზე დასაჯილდოებლად თსუ რექტორს წარუდგინოს, სხვადასხვა პერიოდში

ილია ჭავჭავაძის გამზ. 8, 0179 თბილისი, საქართველო
8, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.social.tsu.ge
ტელეფონი: +(995 32) 229 05 94 Tel.
ფაქსი: +(995 32) 229 05 94 Fax
ელ-ფოსტა: social@tsu.ge; E-mail

კათედრის/მიმართულების ხელმძღვანელები, რაც იქნება დაფასება იმ შრომისა, რაც მათ გასწიეს გეოგრაფიული მეცნიერების გასავითარებლად და სასწავლო - ორგანიზაციული საქმიანობის გასაუმჯობესებლად ფაკულტეტსა და უნივერსიტეტში. ესენია:

1. რევაზ გაჩეჩილაძე - პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი, კათედრის გამგე 1993 – 1998 წლებში, მედალზე წარდგენილ იქნეს ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო - პედაგოგიური და ორგანიზაციული მოღვაწეობისთვის;

2. იოსებ სალუქვაძე - პროფესორი, კათედრის გამგე 2000 – 2005 წლებში, მიმართულების ხელმძღვანელი 2019 - 2022 წლებში; მედალზე წარდგენილ იქნეს ნაყოფიერი სამეცნიერო - პედაგოგიური და ორგანიზაციული მოღვაწეობისთვის;
3. გიორგი გოგსაძე - პროფესორი, მიმართულების ხელმძღვანელი 2015 – 2019 წლებში, მედალზე წარდგენილ იქნეს ნაყოფიერი სამეცნიერო - პედაგოგიური და ორგანიზაციული მოღვაწეობისთვის;
4. თამარ დოლბაია - პროფესორი, მიმართულების ხელმძღვანელი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი 2014 – 2022 წლებში, მედალზე წარდგენილ იქნეს ნაყოფიერი პედაგოგიურ-სამეცნიერო მოღვაწეობისთვის და ფაკულტეტის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის.

პატივისცემით,

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების წევრები (სია თან ერთვის)

თამარ დოლბაია

დეკანის მრჩეველი
ადმინისტრაცია

ნოემბერი, 2023

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სხელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი

გეოგრაფიის მიმართულება

1. იოსებ სალუქვაძე - პროფესორი
2. რევაზ გაჩეჩილაძე - პროფესორი
3. გიორგი გოგსაძე - პროფესორი
4. ვაჟა ლორთქიფანიძე - პროფესორი
5. თამარ დოლბაია - პროფესორი
6. ია იაშვილი - ასოცირებული პროფესორი
7. ნინო პავლიაშვილი - ასოცირებული პროფესორი
8. ვალერიან მელიქიძე - ასოცირებული პროფესორი
9. გიორგი კვინიკაძე - ასოცირებული როფესორი
10. ანზორ სახვაძე - ასოცირებული პროფესორი
11. ვლადიმერ ჩხაიძე - ასისტენტ პროფესორი
12. დავით სვანაძე - გის ლაბორატორიის ხელ-ლი
13. ლუიზა აბაზაძე - მთავარი სპეციალისტი
14. მაია ჟღენტი - უფროსი სპეციალისტი
15. ლალი დათუაშვილი - უფროსი სპეციალისტი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს

სალომე დუნდუას

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის

რევაზ ჯორბენაძის

სამსახურებრივი წერილი

ქალბატონო სალომე,

წარმოგიდგენთ ცვლილებებს **სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის** საგანმანათლებლო პროგრამებში (ფაკულტეტის 2023 წლის 20 ივლისის სხდომისთვის).

<u>საბაკალავრო პროგრამები:</u>

1. *საფაკულტეტო:*

ცვლილება:საგანმანათლებლო პროგრამებში (დადგენილება 57/2011, დანართები: 34, 35,) არჩევითი სასწავლო კურსების დამატების შესახებ.
ცვლილების აღწერა:დაემატოს საფაკულტეტო საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამებს არჩევითი სასწავლო კურსები - **„გეოინფორმაციული სისტემების შესავალი“** - ლექტორი დავით სვანაძე და **„საქართველო მსოფლიო კონტექსტში“** - ლექტორი, პროფესორი რევაზ გაჩეჩილაძე. დაემატა ლექტორი ტატიანა სიჭინავა.

ცვლილება: სასწავლო კურსში ლექტორის დამატების შესახებ;
ცვლილების აღწერა:დაემატოს საფაკულტეტო სავალდებულო სასწავლო კურსში **„აკადემიური წერა“** მოწვეული ლექტორი თეონა თაბუაშვილი და პროფესორი რევაზ ჯორბენაძე.

ცვლილება: სასწავლო კურსის სილაბუსში ცვლილებები:
ცვლილების აღწერა: საფაკულტეტო საბაკალავრო სასწავლო კურსის- **„კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა“** - სილაბუსში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები: განახლდა სავალდებულო(ძირითადი) ლიტერატურა და ასევე განახლდა შეფასების სისტემა. ასევე დაემატა სტუმრის საათი (დარგის შესაბამისი მოწვეული სპეციალისტი).

ცვლილება: სასწავლო კურსიდან ლექტორის ამოღება:
ცვლილების აღწერა: საფაკულტეტო საბაკალავრო სასწავლო კურსის სილაბუსიდან **„ლოგიკა“** -ლექტორის, ალექსანდრე ტყეშელაშვილის, ამოღება მისი გარდაცვალების გამო.
საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება.

2. *საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ჟურნალისტიკა“(დადგენილება № 22276, 2021; დანართი 34):*

ცვლილება:სასწავლო კურსებში ლექტორების დამატება::
ცვლილების აღწერა: - დაემატოს საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამას სავალდებულო სასწავლო კურსებზე ლექტორები - **„ახალი ამბების ჟურნალისტიკა“** – (5 კრედიტი. 30/30) დაემატოს ასისტენტ პროფესორი თინათინ მაჭარაშვილი და მოწვეული პედაგოგი შოთა ფალავანდიშვილი. – **„ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის შესავალი“** – (5 კრედიტი. 30/15) დაემატოს პედაგოგი ასისტენტ პროფესორები თინათინ მაჭარაშვილი და ნათია სვანიძე. – **„ტელემედია“** – (5კრედიტი. 30/30) დაემატა მოწვეული პედაგოგი მერაბ მეტრეველი.

ცვლილება: სასწავლო კურსის სემესტრის ცვლილების შესახებ:
ცვლილების აღწერა: - „ვიზუალური თხრობა სოციალური მედიისთვის“ - “ (5 კრედიტი, 15/30) - მოწვეული პედაგოგი ლიანა მარქარიანი, ნაცვლად გაზაფხულის სემესტრისა, გადმოინაცვლებს შემოდგომის სემესტრში.
საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება.

3. *საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: „ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია (რუსულენოვანი კომპონენტებით)“(დადგენილება № 185, 2018, დანართი 35):*

ცვლილება: საგანმანათლებლო პროგრამაში ახალი სასწავლო კურსის დამატება:
ცვლილების აღწერა:დაემატოს საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამებს სავალდებულო/არჩევითი სასწავლო კურსი - **„საქართველოს გეოგრაფია“** - ლექტორი, ასოცირებული პროფესორი ვალერიან მელიქიძე. (5 კრედიტი. 30/15)
საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება.

4. *საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: “პოლიტიკის მეცნიერება” (დადგენილება № 32530, 2021. დანართი #63):*

ცვლილება: სასწავლო კურსისთვის სემესტრის ცვლილების შესახებ;
ცვლილების აღწერა:„მეხსიერების პოლიტიკა, თეორია და პრაქტიკა“ - ლექტორი ასოცირებული პროფესორი თამარ ქარაია. საგაზაფხულო სემესტრის ნაცვლად ჩატარდება საშემოდგომო სემესტრში; - **„ეკონომიკა და საჯარო პოლიტიკა“** - ლექტორი ვალერიან დოლიძე. საგაზაფხულო სემესტრის ნაცვლად ჩატარდება საშემოდგომო სემესტრში;

ცვლილება:საგანმანათლებლო პროგრამაში დამატებითი ინფორმაციის შეტანა

ცვლილების აღწერა:- სავალდებულო სასწავლო კურსი - **„ეკონომიკა პოლიტიკის საფუძვლები“** – (ეს კურსი სავალდებულო იქნება მხოლოდ 2021-2022 წლის შემოდგომის სემესტრში ჩარიცხული სტუდენტებისათვის. დამატება განხორციელდა აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად).

ცვლილება: სასწავლო კურსების დამატება:
ცვლილების აღწერა:არჩევითი სასწავლო კურსის დამატება - **„ულტრამემარჯვენეობა და ევროსკეპტიციზმის პოლიტიკა“** -ლექტორი პოლიტიკის დოქტორი სანდრო ტაბატაძე; **„პოლიტიკა და რელიგია“** - ლექტორი ასოცირებული პროფესორი ავთანდილ ტუკვაძე.

ცვლილება: სასწავლო კურსის წინაპირობის და შეფასების წესის განსაზღვრა:
ცვლილების აღწერა: სავალდებულო სასწავლო კურსის**„საბაკალავრო ნაშრომი“** - წინაპირობად განისაზღვრა არა პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო საგანი არამედ, მხოლოდ დარგობრივი სასწავლო კურსები - **„პოლიტიკის კვლევის მეთოდები“** და **„პოლიტიკის კვლევის დიზაინი“.** ეს კურსები აუცილებელი წინაპირობაა საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისთვის.

ცვლილება: სასწავლო კურსში ლექტორის დამატება:
ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსს - **„პოლიტიკური იდეოლოგიები“** - დაემატა მოწვეული ლექტორი ნიკა გიგაური.

საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება.

5. *საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: „სოციალური მუშაობა“(დადგენილებაN805733. 2022. დანართი #59):*

ცვლილება: სასწავლო კურსების დამატება:
ცვლილების აღწერა:ახალი არჩევითი კურსის დამტება - **„ინკლუზიის გამოწვევები საზოგადოებაში და მათი გადაჭრის გზები“ –** (5 კრედიტი. 15/15) წაიკითხავს მოწვეული ლექტორი გ.ახმეტელი.

ცვლილება: სასწავლო კურსის და ლექტორის ცვლილება:
ცვლილების აღწერა: განხორციელდა სასწავლო კურსის მოდიფიცირება და ლექტორის ცვლილება - **„დარგობრივი ინგლისური ენა სოციალური მუშაობისთვის 1“ და „დარგობრივი ინგლისური ენა სოციალური მუშაობისთვის 2“** - პედაგოგი მარინა ქევხიშვილის ნაცვლად წაიკითხავს მოწვეული ლექტორი ეთერ პატარაია. მოდიფიკაციის ფარგლებში განახლდა ლიტერატურა. ასევე შეიცვალა სასწავლო საკითხები და თემებიც .

ცვლილება: სასწავლო კურსის სემესტრის ცვლილება:
ცვლილების აღწერა:ინგლისურენოვანი სასწავლო კირსი - **„სოციალური მუშაობა ადგილობრივ და საერთაშორისო კონტექსტში“** - გამოვიდეს სემოდგომის სემესტრშიც.
საფუძველი: უცხოელი სტუდენტების სასწავლო პროცესში ჩართვა.

6. *საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: „საერთაშორისო ურთიერთობები“,(დადგენილება № 45163, 2021, დანართი № 41):*

ცვლილება: ლექტორის დამატება და ცვლილება.
ცვლილების აღწერა: საერთაშორისო ურთიერთობის საბაკალავრო ბპროგრამისსავალდებულო კურსს - **„კვლევის დიზაინი საერთაშორისო ურთიერთობებში“,** დაემატა ასოცირებული პროფესორი დავით მაცაბერიძე. სავალდებულო კურსს - **„ევროპათმცოდნეობის შესავალი“** დაემატა ლექტორები დიანა ენდელაძე და გიორგი ჩაფიძე.

ცვლილება: ახალი საგნის დამატება
ცვლილების აღწერა: საბაკალავრო პროგრამას ემატება ახალი არჩევითი სასწავლო კურსი - **„ევროპის უსაფრთხოება და თანამედროვე გამოწვევები“** - წაიკითხავს მოწვეული ლექტორი ანა ჩიტალაძე.

ცვლილება: კურსის საკონტაქტო საათების ცვლილება
ცვლილების აღწერა: საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო კურსის - **„საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები“** - საათობრივი დატვირთვა შეიცვალა. 15/15 საკონტაქტო საათის ნაცვლად იქნება 30/15.

ცვლილება: ლიტერატურის განახლება და შეფასების კომპონენტის ცვლილება
ცვლილების აღწერა: ცვლილება შედის საბაკალავრო პროგრამის არჩევით კურსში - **„ევროპის ინტეგრაციის ისტორია და ევროკავშირის ინსტიტუტები“** - კითხულობს მოწვეული ლექტორი დიანა ენდელაძე.

ცვლილება: ცვლილება სილაბუსში
ცვლილების აღწერა: სავალდებულო კურსის - **„საერთაშორისო ურთიერთობის შესავალი (სპეციალობის სტუდენტებისათვის)“** - სილაბუსში იცვლება სასწავლო კურსით გათვალისწინებული თემატიკის ნაწილი, ასევე მოხდა ლიტერატურის განახლება და ლექტორის დამატება. დაემატა მოწვეული ლექტორი გიორგი კეკელიანი.კურსს აღარ გაუძღვებიან ასოცირებული პროფესორი ფიქრია ასანიშვილი, პროფესორი თორნიკე თურმანიძე, მოწვეული პროფესორი სერგი კაპანაძე.

საფუძველი: სასწავლოკურსებისგანვითარება.

- საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამებზე - **„პოლიტიკის მეცნიერება“** და **„სოციოლოგია“** საბაკალავრო ნასრომის დაცვის წესში ცვლილების შეტანა. კერძოდ, მოვიდეს შესაბამისობაში ფაკულტეტის საბაკალავრო ნაშრომის წესთან (ხელმძღვანელის შეფასება 40 და კომისიის შეფასება 60 ქულა)

- სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების სხდომის გადაწყვეტილება -

2023 წლის 19 ივნისს ჩატარდა სოციოლოგიის და სოციალური მუშაობის მიმართულების სხდომა, რომელზედაც განიხილეს საოციალური მუშაობის პროგრამაზემისაღები კონტიგენტის თანდათანობითი კლების სკითხი. დაადგინეს, რომ საბაკალავრო პროგრამები სოციოლოგია და სოციალური მუშაობა ერთობლივად გამოაცხადებს მისაღები კონტიგენტის რაოდენობას(სულ 140).2024-2025 სასწავლო წლისთვის სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის კვოტა განისაზღვროს (140 სტუდენტით) და განხორციელდეს სტუდენტთა ერთიანი მიღება, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტთა შემცირებას და გაზრდის მათ არჩევანს.

შენიშვნა: *საფაკულტეტო არჩევითი საგნის და საფაკულტეტო არჩევით საგანზე ლექტორის დამატების გამო, ფაკულტეტის ყველა საბაკალავრო პროგრამაზე განხორციელდება საფაკულტეტო არჩევით სასწავლო კურსების ჩამონათვალის ცვლილება.*

<u>სამაგისტრო პროგრამები:</u>

1. ***სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა: „ევრაზიისა და კავკასიის კვლევები“*** *(დადგენილება № 124369, 2022, დანართი 305):*

ცვლილება: სემესტრის ერთჯერადი ცვლილება:
ცვლილების აღწერა: საგანმანათლებლო პროგრამაში 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ერთჯერადად გამოდის შემდეგი საგნები: - **„რუსეთის საგარეო პოლიტიკა“** - ლექტორი ასოცირებული პროფესორი ფიქრია ასანიშვილი და - **„შედარებითი პოლიტიკა: რეჟიმების ტიპოლოგიების შედარებითი ანალიზი“** - ლექტორები მიხეილ შავთვალაძე და ასოცირებული პროფესორი დავით მაცაბერიძე.

საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება.

2. ***სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა: „მედიაფსიქოლოგია და კომუნიკაციები“*** *(დადგენილება № 45163, 2021, დანართი 41):*

ცვლილება: სასწავლო კურსზე ლექტორის დამატება:
ცვლილების აღწერა: „**სოციალური მედიის გამოყენების ეფექტები**",დაემატა ლექტორი ლიანა მარქარიანი.

ცვლილება: სასწავლო კურსების კრედიტების ცვლილება:
ცვლილების აღწერა: „საინფომაციო ომი და უსაფრთხოება“ – 4 კრედიტის ნაცვლად გახდა 5 კრედიტი. **„მეთოდოლოგიური მიდგომები მედიაფსიქოლოგიასა და კომუნიკაციებში და კვლევის დიზაინი“** – 6 კრედიტის ნაცვლად გახდა 5 კრედიტი.

საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება.

3. ***სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა: „გენდერის კვლევა“*** *(დადგენილება № 32541, 2021, დანართი 43):*

ცვლილება: სასწავლო კურსის ლექტორის ცვლილება:
ცვლილების აღწერა: **“გენდერი და განვითარება”**,წაიკითხავს მოწვეული ლექტორი მარიამ ჭანჭალეიშვილი. **„გენდერი და ფემინისტური თეორიები“** - ანნა რეხვიაშვილის ნაცვლად ერთჯერადად წაიკითხავს სალომე ქენქლაძე.

4. ***სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა: “პოლიტიკის მეცნიერება”*** *(დადგენილება № 32535, 2021. დანართი #63):*

ცვლილება: სასწავლო კურსის სემესტრული ცვლილება და სალექციო საათების ცვლილება:
ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსს **- „საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტი“** - ლექტორი კორნელი კაკაჩია. (30/30). სალექციო კურსი გადატანილია მესამე სემესტრში.

5. **სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა: „ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება“ (დადგენილება # 285. 2011 დანართი N258).**

ცვლილება: სასწავლო კურსების სტატუსის ცვლილება:
ცვლილების აღწერა:სავალდებულო მესამე სემესტრის საგანი **„პროექტის ციკლის მართვა“**სავალდებულოს ნაცვლად გახდა არჩევითი.**„ინტერპერსონალური კომუნიკაციის პრაქტიკა“** - არჩევითის ნაცვლად გახდა სავალდებულო. 2024 წლის გაზაფხულის (მეორე) სემესტრში განხორციელდეს შემდეგი ცვლილება - **„კონსულტირების სამართლებრივი საფუძვლები“** - სავალდებულოს ნაცვლად გახდა არჩევითი, ხოლო **„ბიოგრაფიკა“** - არჩევითის ნაცვლად გახდა სავალდებულო.

ცვლილება: ახალი სასწავლო კურსის დამატება

ცვლილების აღწერა: სასწავლო პროგრამას ემატება ახალი არჩევითი კურსი **„ქალაქების ორგანიზაციული განვითარება”** (საკონტაქტო საათები სულ 45სთ: ლექცია-24სთ, სემინარი 12სთ, პრაქტიკუმი- 9სთ). კურსს გაუძღვება ქალაქმგეგმარებელი, მოწვეული ლექტორი ზურაბ ბაქრაძე.

საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება.

6. **სამაგისტროსაგანმანათლებლოპროგრამა: “მედიის კვლევები“ (დადგენილება N22316, 2021. დანართი N 45)**

ცვლილება: სასწავლო კურსების სილაბუსის კრედიტების ცვლილება:
ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსი - „მედიისა და კომუნიკაციის კვლევის მეთოდები“
- 6 კრედიტის ნაცვლად გახდა 5 კრედიტი.

საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება.

7. ***სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა: „დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა“****(დადგენილება № 45162, 2021, დანართი 65):*

ცვლილება:ლექტორის დამატება
ცვლილების აღწერა: სავალდებულო სასწავლო კურსს**„საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები“** - დაემატა მოწვეული ლექტორი ირაკლი სირბილაძე.

საფუძველი: სასწავლო კურსის განვითარება

<u>**დოქტორანტურის პროგრამა**</u>

1. <u>„ორგანიზაციული და პერსონალურიგანვითარება“ - დოქტორანტურის პროგრამის და თვითშეფასების წარდგენა შესაბამისობაზე ხარისხის ცენტრში. სრული პაკეტის დამტკიცება. ხელმძღვანელი პროფესორი ნოდარ ბელქანია.</u>

- სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა საბჭოზე განხილვისას წარმოშობილ კითხვასთან დაკავშირებით - შეიძლება თუ არა ორმა მაგისტრანტმა ერთობლივად შეასრულონ საკვალიფიკაციო ნაშრომი - პროგრამის განმხორციელებლები ითხოვენ დაშვებული იქნას სამაგისტრო ნაშრომის ერთობლივად დაცვა (შესაძლებელია დაიცვას ორმა მაგისტრანტმა, რომელთა სამაგისტრო ნაშრომი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 70 გვერდს და თემატურად ერთი საკვლევი თემის განსხვავებულ ასპექტებს ეხებოდეს).